

ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის საბაკალავრო პროგრამა

სპეციალობა : ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია.

პროგრამის მოცულობა კრედიტებში: 240 კრედიტი.

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ბაკალავრი.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა : ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის საბაკალავრო პროგრამით სწავლის უფლება ეძლევა სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს, რომელიც გაივლის ერთიან ეროვნულ გამოცდებს და მიღებული ქულების საფუძველზე მოიპოვებს უფლებას ისწავლოს უნივერსიტეტში ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტზე, აგრეთვე უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ პირობებს.

სწავლების ენა: ქართული.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის დარგში მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადებას, რომელთაც ეცოდინებათ ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის თანამედროვე თეორიები, პრინციპები, მეთოდები და საშუალებები, ფიზიკური დატვირთვისადმი ადამიანის ორგანიზმის ადაპტაციის მეთოდები, ფიზიკური და ქიმიური ფაქტორების გავლენა სპორტსმენის ორგანიზმზე, ტრავმების პრევენცია, პირველადი დახმარების აღმოჩენა სპორტული ტრავმების დროს, რეაბილიტაციის პროცესის მართვა, სპორტსმენების კვების პრინციპები, კინეზოკორექციული ღონისძიებები და სარეაბილიტაციო საშუალებები. შეეძლება კომპეტენტურად წარმართონ პრაქტიკული საქმიანობა ფიზიკურ მედიცინასა და რეაბილიტაციაში.

სწავლის შედეგები - კურსდამთავრებულს ეცოდინება: ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის თანამედროვე თეორიები, პრინციპები, მეთოდები და საშუალებები; ადამიანის ორგანიზმისა და მისი შემადგენელი ელემენტების ანატომიური, ფიზიოლოგიური, პათ.ფიზიოლოგიური თავისებურებები, ორგანიზმის ქსოვილოვანი სტრუქტურები; ტრავმატოლოგიის ძირითადი დებულებები. ტრავმული მდგომარეობის ზოგადი შეფასება და დაზიანების პირველადი დახმარება; ინტენსიური წვრთნისა და დასვენება-აღდგენის პირობებში სპორტსმენტა ჯანმრთელობის აღდგენისა და განმტკიცების მეთოდები; სხვადასხვა ნიშნით სამკურნალო ვარჯიშის კლასიფიკაცია და ადამიანის ორგანიზმზე ფიზიკური ვარჯიშის კლინიკური და ფიზიოლოგიური მნიშვნელობა. კურსდამთავრებულს შეეძლება: ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით სპორტის სახეობებისა და

სარეაბილიტაციო ვადების მიხედვით სარეაბილიტაციო ღონისძიებების განსაზღვრა და წარმატებით განხორციელება; ადამიანის ჯანმრთელობის განმტკიცებისა და ფიზიკური თვისებების განვითარების მეთოდების განსაზღვრა, სხვადასხვა დაავადებებისა და დაზიანების დროს სამედიცინო რეაბილიტაციის ტაქტიკის შერჩევა; სამკურნალო ფიზიკური ვარჯიშების შერჩევა და შედეგების შეფასება; აზრის სწორად შეჯერება და საკუთარი პოზიციის გამოხატვა. პრაქტიკულ საქმიანობაში თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება; საკუთარი სწავლის პროცესის დაგეგმვა, სწავლის საჭიროების განსაზღვრა გარკვეული მიმართულებით.

ცოდნის შეფასების სისტემა: შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით, 60 ქულა - სემესტრული შეფასება, 40 ქულა - დასკვნითი გამოცდა. გამოცდაზე გასვლის უფლების მოპოვებისათვის მაგისტრანტს, სემესტრის განმავლობაში დაგროვილი უნდა ქონდეს მინიმუმ 11 ქულა.

(A) ფრიადი –მაქსიმალური შეფასების 91% –100%;

(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 %;

(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 %;

(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70%;

(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 %;

(FX) ვერ ჩააბარა– მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საბაკალავრო ნაშრომის შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით:

- საბაკალავრო ნაშრომის წინასწარი განხილვა -60 ქულა;

- საბაკალავრო ნაშრომის საჯარო დაცვა- 40 ქულა.